ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №324/3

ქ. თბილისი „--3--“ „---12-----“ 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „თბილი სახლი” გენერალური დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2012 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს საჭიროებისთვის გათბობის სისტემის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 50500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 400 (ოთხასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ზამთრის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის გათბობის სისტემის მილგაყვანილობისა და დანადგარების ტექნიკური გამართულობის შემოწმება.

4. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი:

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეში.
4.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ანაზღაურება იწარმოება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2 უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი
არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი ვახტანგ ფხალაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

16. ზოგადი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
თბილისი, წერეთლის გამზ. №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

დავით ლომიძე
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. "თბილი სახლი"
ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №2
სს „საქართველოს ბანკი"
კოდი №BAGAGE22
ა/ა №GE19BG0000000175579101
ს/კ №204976179

მალხაზ კურტანიძე
გენერალური დირექტორი

ვიზა: გ. ხაბაშვილი
ი. ქიტიაშვილი
შ. ბაღაშვილი
ლ. კიზირია
ა. თორია
ვ. ფხალაძე

შემსრულებელი: ი. აბრამიშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი .....

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი .....
(ორგანიზაციის დასახელება)

.....
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2012 წლის „ .....“ „ .....“ № ..... ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

..... თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა .....
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„3“ „12“ 2012 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შპს „თბილი სახლის“ მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. ლომიძე

გ. ხაბაშვილი

შ. ბაღაშვილი

ლ. კიზირია

ვ. ფხალაძე

ი. აბრამიშვილი